ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01180752608**

თარიღი: **16.03.2018**

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ასლი
ირაკლი ბარნაბიშვილი
პირადი ნომერი: 01009010768
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის V კვარტალი, კორპუსი 2, ბინა 35

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული 22.02.2018წ. N AR1579415 განცხადება რომლითაც ითხოვთ საბურთალოს რაიონში, გამსახურდიას გამზირი, N6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ამჟამად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ამ სახლში მცხოვრებ მოქალაქეთათვის საერთო წილად საკუთრებაში მიკუთვნება მიმდინარეობს ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს N261 დადგენილების, შესაბამისად. ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მრავალბინიანი სახლისათვის მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი არის კანონმდებლობით განსაზღვრული მიწის ნაკვეთი, რომელსაც გააჩნია საზღვარი, დადგენილი კოორდინატები, ადგილმდებარეობა და რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურის მიერ.

საკითხის შემდგომი განხილვის მიზნით საჭიროა მოთხოვნის ტექსტში განმარტოთ კორექტირების მიზეზი და მეტი თვალსაჩინოებისათვის საჭიროა წარმოადგინოთ კორექტირებისას მიწის ნაკვეთის საზღვრებში შესაყვანი ტერიტორიის ამსახველი ფოტოები (სასურველია ასევე ზემოდან გადაღებული)

აღნიშნული დოკუმენტების წარმოსადგენად გეძლევათ გაცნობიდან 15 დღიანი ვადა, ხოლო დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში საკითხი დარჩება განუხილველი.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი